

1906 24 აპრილი 1916 ვ.

რედაქციის აღმნიშვნელი: თბილისი, ღლას ქუჩა № 6.


ფასი 12 გვ.

ქართველობის მათრიალი № 17

იუმორისტი:
ეურნალი

№ 17

დღევანდელი „ქაჯეთის ციხე“.



კავთარაძე ლ. ბოჭაძე. (არხვინით) ისროლით, ისროლით. ჩემი ციხე უფრო
ძლიერ იქნიშვნაც გაუძლება.

ჩემი კარგი ნაცნობი.

უზიმო სიხარულით აავსო ჩემი გული გუშინ
წინ დათიკო უურაძის შეხვედრამ.

— კაცო, როგორ დამატერდი? ვერ მიცანი?
ჩვეულებრივი ტკბილი ღიმილით მკითხა დათიკომ.

— არც ისე მოგეტყებულვის, რომ ერთ წელიწადში ნაცნობი გადამივიწყდეს. — დინჯათ მავუ-
გი მე.

— კარგი მოზრდილი წელიწადი გცოლნიათ
თქვენს ჯოჯოხუთში!

— ვითომ და რატომაო?

— რატომ და იმისთვის, რომ ჩვენ უკანასკნე-
ლად ერთმანეთი 1908 წელს ენახეთ.

— მე კი ისე მგონია, თითქო გუშინ იყო
ჩვენ რომ აი აქ, გოლოვინის ქუჩაზე დავსეირნობ-
დით.

— გოლოვინის ქუჩაზე?

— ჰო, აი სწორეთ ამ აღაგობას იყო მგონია.

— მე დღეს პირველათ ჩამოვედი თფილისში.
კიდევაც მრცვენოდა, 23 წლის კაცი ვიყავი და
ჩვენი დელაქალაქი არ მენახა. მიკვირს შენ შარშან
როგორ ისეირნე ჩემთან გოლოვინის ქუჩაზე!

— ამ იმმა მთელი ქვეანა არივ-დარია და
მე რომ ამერიკას ჩვენება განა დიდი საქმე იქნება?
ალბათ ქუთაისში გრძება. მაგრამ განა ეგ სულერთი
არ არის. შენ ის მითხარი: საიდან ჩამოინავარდე,
როგორ ცხოვრობ, შენი ძალა რასა იქს?

— რომელ ძალაზე მეუბნები... მამა ჩემი იმით
იყო შესანიშნევი კაცი, რომ ექვსი ქალი ჰყავდა და
ერთი ვაჭა. ეს ერთი კი მე ფარ.

— მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ
რამოდენიმე ძალა გყავდა. მაშ ვინ იყო ის უმაშვილი,
რომელიც ისე გჯავრდებოდა გიმნაზიიდან გამო-
რიცხვის დროს. წარმოიდგინე ეჭვიც არ შემსვლია,
რომ ის მკვიდრი ძალა იყო შენი.

— დასმალი არაფერია, მაგრამ მკვიდრი ძალა
რო მყოლოდა ვერაფერ დარიგებას ვერ მომცემდა
გიმნაზიის მიტოვებისათვის, ვინაიდან მე გიმნაზიის
კარებიც კა არ მინახავს არასოდეს.

— დასწყველოს ღმერთმა! შაშ საიდან მახსოვეს
ასე კარგათ ეს ამბავი. მაგონდება შენ კიდევაც გა-
ცეცხლით უთხარი მას; — მამა ჩემი არაფერს მეუბ-
ნება და ცისი მატრაკვეცი ხარო...

— საუბედუროთ მამა არც მახსოვეს. ხუთი
თვისა ვყოფილიყავი, როცა ხილიდან გადავარდნი-
ლიყო და ლანქერს დაეხრჩო. წარმოიდგინე გვაძიც
ვერ იპოვეს თურმე.

— საცოდავი! მთვრალი ხომ არა ყოფილა?
ახილებული ხილები კი იციან ჩვენშია თქვენი სო-
ფელი მაინც ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარე-
ობაშია ამ მხრივ. რა ღმერთი გაუწყრა იმოდენა
სოფელს, რომ იმ საშიშარ მდინარეზე ერთი სავარ-
გისი ხილი ვერ გასძო?

— დამცინი, თუ როგორ არის საქმე? ცოტა
ნაწყენი კილოთი შემეკითხა ჩემი მოსაუბრე. — კაცო
ჩვენს სოფელს სამელი წყალი სამი-ოთხი ვერსიდან
მოაქვს და მდინარე ხომ ათ-ხუთმეტ ვერსზე ახლო
არსად ჩამოუდის!

— მაშ სად წავიდა თავის დასახჩიბათ ცხო-
ნებული თედორე, მამაშენი? აკი ამბობ ხილიდან
გადავარდათ.

— ვინ თედორე? მამა ჩემს ბეგლარი ერქვა

— სულერთია თედორე, ბეგლარი... რა გან-
სხვავებაა.

— თავის დასახჩიბათ როდი. წასულა, გზად
მიმავალი უცაბედათ დაიხრჩო.

— აპააა ასე ვიტყოდი შე კაი კაცი!

უკაცრავად... მშვიდობით! ცოტა მიმექარება.
საღურზე ორი საათით ადრე თუ არ მიდი ბილეთს
ვერც იშვივი.

— როგორი დღეს მიდიხარ?

— დიახ. ვიყიდე რაც მქონდა დაბარებული
და რაღა გავაეყოთ. მშვიდობით!


— მშვიდობით მგზავრობას გისურვება!! მოკი-
თხეა თქვენებს!

— ჩვენებს ერთი ჯორი მყავს ოჯახში და
იმას მგონი არ იცნობს თუ კიმკიმეთისკენ ჩამო-
იარო უნახავს ნუ დამტოვებ. ვისაც ჰერთხავ სიმონ
ფხიკაძის დუქანს ყველა მოგასწავლის.

ჩემი მეგობარი წავიდა და მე კიდევ კარგა ხანს
ვიდექი აძლური ნუგეშის „წინ კადარს ქვეშ ღრმად
ჩაფიქრებული.

— ცხადია, ეს დათიკო უურაძე არა ყოფილა!..

ეშმაკი.



დურგალ სანდრუას ჩივილი.

სწორეთ რომ გითხრა საკვირველია...
ეს ჩვენი ხალხი ისე ბნელია,
რომ ეკრ ატყობენ ვინც კი მგელია.
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

მიველ ხაბაზთან, ვყიდულობ ჰურსა,
და თან ვაწოდებ მას სამ შაურსა.
კიდევ ცომია, თონე კი ხურსა.
ვაშბობ: ამ ოხერს შეშა თუ ჰურსა.

ამასთანავე აკლია წონა,
ორი გირგანქა მე რომ ზეგონა.
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ყასაბთან. ვიყიდე ხორცი.
აქაც დამიხვდა სხეგა გასაოცი...
მსუქანს მაჩვენებს, ვითა სალოცი,
ძვლებით გამიისო კი ხელსახოცი.
ამასთან ნიხრზე მეტს მახდევინებს,
სათქმელისა სიტყვას არ მათქმევინებს.
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია:
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ილაფთან. ვყიდულობ ხახესა,
მასალი ირის, სპირდება სახლსა.
მაძლევს. თან ატანს ნაგავ ტალახსა
სინდისი არ სწამს იმ გასალახსა.
ამასთანავე მაძლევს რომ წონას
ფასს მახდევინებს ათჯერ იმტონას...
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია,
—ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ „ქოსებთან“, ვიყიდე ყველი...
ვით სჯობს ყაჩალი ან გამუარცველი?!
ფასი როგორ ვსოქვა, არ არს სათქმელი,
აქაც კი გავხდი მგლის შესაჭმელი..
როს გადფიხადე ოთხი აბაზი
სულ დამავიწყდა ყასაბ-ხაბაზი...
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ბაყალთან, ვთხოვე მწვანილი...
შაური, ნახა მორთო სიცილი...
ვისგანა ხარო გამოგზავნილი?
(დარღანელიდან აქვს მოტანილი)...

ერთი შაურის რა გერგებაო
ორ შაურ ნაკლებ არ იქნებაო...
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

როს გაგვითავდა სახლში შაქარი,
წაველ, მოვნახე მისი ვაჭარი...
ესეც გამოდგა გაუმაძლარი.

ფასი რომ მითხრა, დამეცა ზარი.

გირვანქა ლირსო ექვსი შაური,
მხოლოდ არ დასძრა არსად ხმაური.
ამასლა ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ღვინის საწყობში ვიყიდე ღვინო
გადავრა, გული ავალილინო...
სევდა და ბოლშა ვით მოვითმინო,
ვერ ვგრძნობ წყალ ნარევს, მე ეს უტვინო,
და ფასიც კადევ ათჯერ ზედ მეტი,

ხმასაც არ ვიღებ სულელი, ცეტი.
ამას და ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

ბაგშვის საბლუზეთ მინდა სატინა,
წაველ გავჩერდი ბაზაზის წინა...
ორ-სამ-ნაირი გადმომაფინა...
ფასი რომ მითხრა მთლათ შემაშინა.

ფასს ვინა ჩივის დამაკლო ზომას,
სიკვდილი სჯობდა იქ ფეხზე დგომას.
ამასლა ვფიქრობ: —ეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია.

ფეხშიშველი ვარ, ეს არის ძნელი..
უნდა ვიყიდო, არ მაქ საშველი...
იაფი ფასის, ნახმარი, ძველი,
ვითა შემეძლოს, მიმიწვდეს ხელი,

საცა კი ვნახე ძველი, ნახმარი,
ფასი დაადვეს ოცი ქანქარი...
ამას და ვფიქრობ: —უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ ხუროსთან, ვკითხე ფიცარი.
ფასი რომ მითხრა შუბლში ვიყარი,
ნახა მეძვირა, მორთო პირჯვარი,
ნეტავ გაგეგოთ მის ნაფიცარი:

შენმა მზემაო გაძვირდა ტივი,
იმის დახერხვას რატომ არ ჩივი!
ამას ლა ვფიქრობ:—უეჭველია
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

მიველ მერკინის მაღაზიაში
კვლავ შევევაჭრე კალა ტყვიაში...
უესტი, ლურსმანი ასწია. ფასში
რადგან არ არის ნიხრის სიაში...

როგორც სურს ჰყიდის მისია ნება
ნიხრი დაედოს როგორ იქნება!
ამასლა ვფიქრობ:—უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ბავშვი ავათ მყავს მოსანათვლელი,
გაჭ თუ გამიხდეს დასამარჩველი,
სწრაფათ მოქნახე ოჯახის მღვდელი.
ამ თავით მოხვა მან სასყიდელი.

მონათვლა წინათ ცოტა ლირდაო
დღეს ყველაფერი გაგვიძირდაო,
ამასლა ვფიქრობ:—უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

საითაც წაველ დამხვდა ძირობა
თითქოს შეუკრავთ ყველას პირობა,
ამისთვის გვმართებს გმირთა გმირობა
რომ არ დაგვჩემდეს მართლა ვირობა.

თორებ მოგველის კვლავ განსაცდელი
გათამამდებბ მით უფრო მგელი,
და ეს იცოდეთ:—უეჭველია,
ვირის საფლავი მგლის მუცელია!

ან. განჯის-კარელი.



მწერალი.

ჩარლზ ლიუისი.

(თარგმანი)

ურთხელ, დილა ადრიან მომესმა ჩემი ოთახის
კიბიდან მძიმე ქშენა და ხიხინი. გაიღო დერეფნის
კარები და გავიგონე ქალის ჩუმი ხმა:

— აბა, ჯონ, შენ იცი როგორ ეშმაკურათ
მოიცევი! ვიცი რომ შეგიძლია თავი ყოჩალათ
მოაჩვენო!

გაიღო კარები და ჩეშს ოთახში შემოვიდა მა-
ლალი, მსუჯანი ქალი, პატარა ხმელ-ხმელი ბავშვის
თანხლებით. სწრაფათ მრიხადა სამოსი, გადააძრო
ბავშვს ქული და იკითხა.

— ბატონი რედაქტორი სახლშია?

— დიახ, ქალბატონო, სახლში გახლავთ, მიუ-
გე მე.

— თქვენ თითონ ბრძანდებით რედაქტორი?
მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე.

— უჰ, ღმერთო! — წარმოსთქვა მან და იქვე
სკამზედ ჩამოჯდა. — ვფიქრობდი, ვერ ამოვაწევ ამ
კიბეებზე მეტყი!

მე გავიღიმე და თანხმობის ნიშნად თავი და-
ვიქნიე.

— თქვენ ხედავთ ამ ბავშვს? მკითხა სტუმარმა
მცირე ღუმილის შემდეგ.

— ვფიქრობ თქვენი ვაჟია! მშვენიერი ბიჭი
სჩანს! მივუგე მე.

— დიახ, თანაც უნდა იცოდეთ რა ნიჭიერი
და მოხერხებულია, ნამდვილი მელაბა. არ არის ისე-
თი რამ, მაგან არ იცოდეს. ჯერ რვა წლისაც არ
არის და უკვე ლექსებს სწერს, წერილებს აგზავნის
და ჭიანურზეც უკრავს.

— თქვენ უნდა იამაყოთ ასეთი ვაჟით. მივუ-
გე მე.

— დიახ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მისგან რა-
ღაც უწევულო გამოვა. აბა, ჯონ ქინისი, სთქვი
ლექსი გემზე მოცურავე ბავშვის შესახებ რომ იცი.

— არ ვიტყვი! . გადაჭრით განაცხადა ჯონ
კინისმ.

— ცოტა მორცხვია, შენიშნა დედამ. დღეს
ხუთშეტოდ ვერსი ცხენით გამოიარა და ალბათ
ძლიერ დაქანცა ჩემი პატარა. მე არც ის გამიკვი-
რდება მუცელში ჭიაც რომ გამოაჩნდეს.

— დაიღუპოს ჭიები! დაიბუზლუნა ჯონ კინსიმ და ქუდს მაგრა უკბინა.

— საშინალათ მორცხვობს ჩემი ბიჭი უცხოს-თან, ბატონო რედაქტორო, მაგრამ მალე მიეჩვევა. მეც სწორეთ იმისთვის გეახელით, რომ მინდა გთხოვოთ—არ იყისრებთ თქვენ ამისგან მჩერლის გამოყვანას?

— დაღუპ იქით მწერალი! მე არა მსურს ბებერი, ქაჩალი მწერალი ვიყო! უკმაყოფილოთ წარმოსთვეა ჯონმა და ჩემი მაკატლით კბილების ჩიჩნა დირწყო.

— ბავშვებს არ ესმით თავისი სარგებლობა,— განაგრძო დედამ. ამას ან მქადაგებლობა უნდა, ან შესანიშნავი ვექილობა, ან მდიდარი ექიმობა. მაგრამ, ვინაიდან მწერლური ნიჭი და მოწოდება ემჩნევა, ჩვენც გადავწყვიტეთ მისგან სწორეთ სახელოვანი მწერალი გამოვიყენოთ. მე მგონია პირველ წელიწადს თქვენ მას კვირეში ექვს დღლაზე მეტს არ დაუნიშნავთ ხარჯების გარეშე, მაგრამ პირველ ხანებში ღენერალი ჯექსონიც ამის ნახევარს არ იღებდა.

— ქალბატონო,—დავიწყე მე, როცა ის სულის მოსაბრუნებლათ შეჩერდა,—მე დიდის სიამოვნებით ავიყენან თქვენს შეილს. ის, როგორც ვამჩნევ-მართლა ნიჭიერი ბავში უნდა იყოს, და იმედი მაქვს მისგან სახელოვანი მწერალი დადგება.

— მაშ თქვენ თანახმა ბრძნდებით?

— დიახ, თუ კი მიიღებთ ჩემს პირობებს.

— ეს რა პირობებია?

— ხომ ხედავთ შე მარცხენა ოვალი არა მაქვს?

— დიახ, ვხედავ.

— თქვენი შეილიც ვერასოდეს ვერ გახდება დიდებული მწერალი, თუ მარცხენა ოვალი არ გამოიძრობს. თუ კარგათ ჩაუფიქრდებით, უთუოდ გაიხსნებთ, რომ თქვენ არასოდეს არ გინახავთ სახელოვანი მწერალი, რომელსაც მარცხენა ოვალი ჰქონდეს. ამას ეკონომის გულისათვის შევებინ. ცალთვალა ადამიანს იმისი ნახევარი სინათლე სჭირია, რაც ორგვალიანს. გარდა ამისა, ის ეგრე ადვილათ ვერ ამჩნევს ნემსებსა და ლილებს—თავისს საჭმელში. ყველაზე უკეთესი და უადვილესი საშვალება ოვალის გამოსათხრელად არის წითლად გახურებული ნემსის წვერი.

— ღმერთო მოწყალეო წამოიძახა სტუმარმა.

— უეჭველია შენიშნავდით, რომ თავზე ერთი

ბეჭვიც არა მაქვს და იქნებ იფიქროთ ეს ავათ-მყოფობისაგან მომივიდა? სრულიადაც არა. როდე-საც მწერალს უნდა დაიჭიროს რომელიმე შორეული აზრი, ის უთუოდ თავს იფხანს. თუ თავზე თმა არის, უეჭველია ფხანას ხელს შეუშლის. ამი-ტომაც თმებს იგლევენ ხოლმე განსაკუთრებული საწიწნის საშვალებით და მხოლოდ იმის შემდეგ შეუშლია დაუბრკოლებლათ და დროს დაუკარგავთ იფხანის მწერალმა თავი.

— ნუთუ?

— დიახ. ყოველივე ეს სრული ჰეშმარიტებაა! დარწმუნებული ვარ თქვენ იმასაც შენიშნავდით, რომ ცალი ფეხი მოკლე მაქვს. თუ სინამდვილე არ აგიხსნით შეიძლება თქვენ ეს გარემოებაც რაიმე უცაბედ შემთხვევას მიაწეროთ. ყოველი მწერალი, ბატონო ჩემო, მეოთხე სართულში ცხოვრობს, თუ სახლს მეხსოფე სართული არა აქვს და განზრახ იმოკლებს ერთ-ერთ ფეხს, რომ ამგვარათ გაიაღვილოს კიბეგბზე ასვლა ჩამოსვლა. თქვენც, იმედია, აღვილათ მონახავთ ექიმს, რომელსაც შეეძლება თქვენი შეილისათვის აღნიშნული ოპერაციის გაკვეთისა.

— გეფიცებით, ამის მაგვარი არასოდეს არა-ფერი გამიგონია! წარმოსთქვა განცვიფრებულმა სტუმარმა ქალმა.

— დარწმუნებული ვარ თქვენ შენიშნავდით, რომ მე მაკლია ორი წინა კბილი. შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, ვითომც ისინი ჩამტეხოდეს, ან კიას გამოეხრას. ისინი განზრახ ჩანამტვრევია, რომ ამით საშვალება მომცემოდა ხუთი არშინის მანძილზე გადაფურთხებისა. ჩევნი კონგრესის უკანასკელ სხდომაზე გამოცემულ კანონის თანახმად, მწერალი, რომელსაც არ შეუძლია ხუთ არშინზე გადაფურთხება, ვერ მიიღებს უმარკოთ კონგრესის სხდომათა ანგარიშებს.

— ნუ თუ ეს შესაძლებელია? განცვიფრებით წარმოსთქვა შემინებულმა დედაშ და თვალები ფართედ გააღლო.

— მაშ ეგრე ქალბატონო,—განვაგრძე მე,— ახლა იცით დაახლოვებით თუ რა მოელის თქვენს შეილს. თქვენ თითონ განსაჯეთ და აირჩიეთ: ლირს მისთვის თუ არა მწერლად გახდომა. მე თქვენი ბავშვი ძლიერ მომწონს და თუ თქვენი სურვილიც იქნება...

— ჩენ, ბატონო რედაქტორო, უმჯობესია

ჯერ სახლში დაებრუნდებით, — წარმოსთქვა სტუ-
მარმა და ზეზე წამოდგა. მე ძლიერ მინდა ამისგან
მწერალი გამოვიყვანო, მაგრამ საჭიროა მის მამა-
საც მოველაპარაკო, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს
ბავშვი ხერხის ქარხანაში მიაბაროს, დიდათ გმად-
ლობთ და ოუ გადაწყვეტილო... .

— ძლიერ კარგი, ძლიერ კარგი... შეგიძლიათ
მოიყვანოთ ჩემთან როცა გსურთ, დღე იქნება,
თუ დამე. პირველ ყოვლისა საჭირო იქნება ერთ-
ერთი ფეხი მივახერხოთ და...

ისინი ლევი კიბეზე იყვენ და ჩემს ოთახში
ისმოდა ჯორ კინის მრისხანე სიტყვები:

— შორს, შორს, ჯანაბას იქით შენი მწერ-
ლობა!

კოდალი

მე, წერა-კითხვა თათრული
სიყრმის დროს არ მისწავლია,
აწ კი, ცდაც უქმათ ჩამივლი,
გადასული მაქვს ყავლია.

მაგრამ რას იზამ, როდესაც
სწავლას გავალებს შარადა?
თათრული კის არ მცოდნე
აქ არ გამოდგეს არრადა!

თათრული სიტყვა, რომელიც
თავის აღნიშნავს სახელსა,
დასწერეთ ისე, თათრის ნა —
წერი ეგონის მნახველია.

გვერდით კი, დასამშვენებლათ,
ტურფა მოჰუნეთ თვალები
მინდვრის მშვენება ყვავილთა
მჭრედრსფერ განაშალები.

და რომ, კავშირი იმათი
მჭიდროდ ვქნათ შენაერთები,
მოგნახოთ ჩხირი რკინისა
წვერ მახვილ განაკეთები.

მას ბოლო ოთხი ანბანი
წავართვათ, თუმცა ძნელია,
დანარჩენ ოთხსა, ისა სჯობს
სულაც არ ვახლოთ ხელია.

თათრულსა თავსა, — ყვავილი,
ყვავილს, — ნაქერი რკინისა...

აი შარადაც გამზადდა
წინამორბედი ლხინისა.

ქართლ-კახეთ, რაჭა, ლეჩეუმი,
და ზღვისა შავის პირია
დაექებს, მოსთქვამს, ქვაც ვნახე
მათგან გულ ანატირია.

ჩარჩებმა ფასი დაადვეს,
ფასი ჯერ გაუგონელი,
თუ ვერ ახსენით, მიბრძანდით,
კელიძე გეტყვით ხონელი...

კოდო.

კოდალი

დიდი ჯიხაიში. (ძეგლი პრაკტიკა).

ძეგლი დროის ამბავს გეტყვი
ყური დამიგდეო,
მოთმინება იქონიე
არ ამიხირდეო.

თუ სიმწვავე რამე იგრძნო
არ გამირისხდეო,
სიტყვა სიტყვით მომისმინე
არ მომიწყინდეო.

იყო და რა იქნებოდა
უკეთესი ძეგლიად,
იყო ერთი კაცი ვინმე
სოფლის მასწავლებლიად.
ერთხელ, ბედმა გაულიმა,
განდა სმოტრიტელიად,
შკოლის მოვლა პატრონობა
მან ჩაიგდო ხელიად.

მოცავირო კაცი იყო
გააქნია კული,
და ყოველთვის მისკენ თოხნა
სხვისთვის სთესა ცუდი.
ქვეშ ქვეშ შეგეპარებოდა
როგორც კარგი ქურდი
არც გენახოს ქვეყნის ზურგზე
კაცი ეგზომ ბრუნდი.

ინსპექტორის ერთხელ გახდა
იგი ნათლი მამა,
მას შვილი მოანათლია
მით სოფელი ჭამა.

მასწავლებლების მოწვევა
რყა შისი ნება,
ინსცექტორს წააღებია
მისივე გრძანება,
და თითონ შემოაძვრინა
კაცი ვინც ენება.
სამას მანეთს მას აძლევდა
ასი მან იგება,
ასე, ერთსაც და მეორეს
უწყო ხვრა და ვნება,
(ეშმაკიც უნდა იცნობდეს
თუ გაახსენდება).

მან თავადი, ჩვენებური,
ჩაიპირა ხელში,
ფული ართვა შკოლისათვის,
და ჩაიწყო ხვრელში.
ანგარიშს მას არეინ სხხოვდა
იმ ქელ პირობებში,
უკანტროლოდ პარპაშობდა
უძალლო სოფელში.
შკოლის შენობის მასალა
გამონახა ძველი,
მიაკოჭიშ-მიაკერა
ჟექნა სახლი გძელი.
(შიგნით დამპალი მასალა
გარედან კი ჭრელი).

მებაღისა ჯამაგრისა
ის იღებდა სრულად
ანგარიშებში ჩასწერდა
ჩუმად დაფარულოდ.

ამნაირად გაატარა
მან წუთი სოფელი,
ხალხმა იცნო მტერ-მოყვარე
კაცი ენა ჭრელი.
სამუდამოთ დაუნგრიეს,
ნდობა, საფუძველი.

სკოლიდან გამოაბრძანეს
ჩვენი სმოტრიტელი
მოჩურჩულე ვაჟბატონი,
ყრმათა გამროზველი.
(მაშინდელ ყრმათ ახლაც კი აქვთ
ზურგი ანაწველი).

რეაქციამ მოუმართა
ბოლოს იმას ხელი.
ხალხისაგან გაკიცხულსა

დასწვა საფარველი,
გიმნაზიაში უშოვა
რბილი სარეცელი.
დღეს თავს ბედნიერათა გრძნობს
დიდი აქეს „სახელი“
სოფელსაც გადაავიწყდა
მისი საქმე ძველი,

ახლა ვითომ, მოყვარეა
მტერი გუშინდელი.

კიკოლა ბიჭი.

დაცხი. თუმცა არა ვართ ჩვეული,
სტვიროჯან ერთად ღილინსა,
მაგრამ რას იზამ, შევთანხმდეთ,—
იქნებ ეშველოს ჩვენს ჭირსა.

მო, თავად დაფითს ვეწვიოთ,
(კიცი ეკვლება ფერაი)
და ჩვენებრ, მოურიდებლად,
უთხრათ რაც შესაფერია.

გვითხრას მან, „იმედს“ რას ერჩის,
ან ბანკი რატომ დატია,
რად ამოილო მიზანში
ჩაჩრ-ვაჭართ „კბილის მატლია“.

ან მასწავლებლებს რათ სდევნის,
რა დაუშავეს ასეთი,
რა სკოდეს, რომ არ იგუა
იმან (ერთს გარდა) არც ერთი.

გაიგოს რომ აღარ არის
დრო ის „ნეტარ ხსენებული“,
მონები რომ მრავლად ჰყავდა,
დიდი ქონდა მათზე გული.

ოდეს სიტყვა მისი იყო
ბეჭედი და სამართალი,
მისი ბამბაც ჩხრიალებდა,
გლეხების კი არც კავალი.
რაც ჩაიდინა დასჯერდეს,
აწი მაინც მოგვასვენოს,
აღდგომა და ახალკვირე
უშფოთველად გაგვითენოს.

ზახრუმა.



მასწავლებელთა კრება სამტრედიაში



ბესოს ვენაცელე ბესოსა,
ის სამტრედის თვალია
ფეხის ჩლიქივი იცის მან
ზაკონის სამართალია.

მასწავლებელთა მამა
და პეტის დამრიგებელი
მე მის წინაშე მატლი ვარ
და ჭიაყელა, მზებნელი.

ის. სტურუა.



ქესტვირული

(სამტრედისათვის)

უნდა შაირით გავართო
გული სევდასა ჩვეული,
სტვირი და გუდა მოვსებნო
დიდი ხნით მივიწყებული.
ალარ დავინდო არავნ
დამხთური, შემოსეული
და შევაჩვენო საჯაროთ
გაიძევრა და წყეული.
ვინ არ გვპირდება დღეს შეელას
მგელი ცხვრის ჭურქში ხვეული,
ჩარჩი, ბობოლა, ცბიერი
პირბადე შემოხვეული.
ზოგი ჭორისა თხზავს და ზოგიც
მათში ნაქები, რჩეული
ბნელთა საქმეთა მოხელე
დანოსის წერას ჩვეული...
მასწავლებელთა კავშირის
ჩვენი ცნობილი პირები
მამული შეილთა ნუგეში
სახელოვანი გმირები,
აღზრდის საქეშე ზრუნავენ
კლუბებში, პროფექტორებში,
და ეინს იკლავენ დღე და ღამ

კარტის თამაშში, ქორებში.
აბა რა ვუთხრა მე იმათ
ჰელაგოგებად ხმობილებს,
ბესუა-ნაქუპიების
მონა-მორჩილებს, ძმობილებს?
რათ დაავიწყდათ ნეტაფი
ამზრდელი უნდა აღზრდილი,
ამ ორის ბინა იქა,
სად ქელებია, სადილი.
ნორჩი თაობის იმედი
ვერც არის იგი ილია
აბლავატობა იმისთვის
შექმნილი, მოგონილია.
მაგრამ შეერთდა ყველაი
კლუბ-პროფექტორის გმირები
და უზღეს მამული შეილთა
ნათქვამი, დანაპირები.
ხალხს ჯიბგირებათ ნათლავენ
ზოგ-ზოგი ქალბატონები,
ქუთათურ დების საამო
საქმე ქნეს გასაგონები.
ბრძოლა გაჩაღდა უსწორო
შეეპოვარი მედგარი,
ყველა ფრინტიდან დაიძრა
მამული შეილთა ლაშქარი.
ვაჭართ აისხეს ფარგმალი
საქმე ქნეს გასაშტერები,
მაგრამ დამარცხდენ სასტიკად
სახალხო დუქნის მტერები.
ხალხსა ებრძევიან მშრომელსა
ისედაც დაუძლურებულს,
სულის ხდიან ალარ ინდობენ
შიმშილით გულშეწუხებულს.
სად ხარ „დარაჯო“, კოშბალი
მოიმარჯვევი ძამია,
რო წაამწარო მსუნაგებს
რაც ხალხის შეუქამია.
უნდა შაირით გავართო
გული სვედასა ჩვეული,
სტვირი და გუდა მოვძებნო
ხანდახან, მივიწყებული.

ალი.

მოხსენება ხონიდან.

IV.

შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში.

კფირა დილა იყო. „ბინძური“ მზე უხვათ აფრქვედა დილის „ბინძურ“ სხივებს ჩვენს ცოდვილ დელა-მიწას; მე კი ღრმა ფიქრებში გართული ნელის ნაბიჯით მივემართებოდი ხონის პატარა კოპწია ბაზრისაკენ. ბაზრის შესავალში „ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ ბინა შევამჩნიე.

ძალიან მეამა. დილი ხანია ვფიქრობდი ამ დაწესებულებაში შესვლას და მისი ავ-კარგის გაცნოს ბას. ბედნიერი შემთხვევა მომეტა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის და მეც შეუხვიე.

— შეიძლება? შევეკითხე კარებთან მისვლისას და შევჩერდი.

— მობრძანდით! მომესმა ყრუ ხმა ივანე გორგაძისა.

დინჯათ შევედი და მივესალმე გამგეობის წერტ. ბ-ნი გორდაძე გაკვირვებული თვალებით დამაცქერდა: „ეგ რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და საღაურიონ“, ჩახურჩულა თავისთვის, უცნობი რო დამინახა და მის მარცხნა მხრით მჯდომ მასიკი ჰელიძეს გახედა. უკანასკნელმა კი იმ წამსვე მიკუნ.

— სალაში ბ-ნი აბო, გადმომძახა მან და გორგაძეს მიუბრუნდა: იცნობდეთ, ეგ გახლავთ ეშმაკის აღგილობრივი მოაღილე—აბი.

— ეშმაკის მოაღილე? ჩაპითხა გორგაძემ და ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა. მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ?

— ფრთიხილათ იყავი! ოდნავ გასაგონი ხმით ჩახურჩულა მოსიკომ, არა წამოგცდეს რა, თორემ..

— დარდი ნუ გაქეს: არამც თუ ეშმაკის მოაღილეს, თვით ეშმაკაც ყინულზე გავაცურებ თუ კი დამჭირდა.

მარჯვენა ულვაშში ჩამეცანა.

— რაზე გასჯილხართ, ბ-ნი აბო,? შემეკითხა ივანე.

— თქვენმა ამხანაგობამ დამაინტერესა, განსაკუთრებით მას შეძლევ, რაც რ. წიგწივის წერილები წავიკითხე „თან. აზრ.“ და მოსიკოს პასუხები „სახალხოში“.

ბ-ნი მოსიკო სახეზე წამოწითლდა; აშეარა იყო არაფრათ იამა წიგწივის ხსენება და დასაწყლებული თვალები ივანეს მიაპყრო, „მიხსენ ეშმაკის კბილებისაგანო“. ეველრებოდენ ეგ თვალები ივანეს.

— რომელ წერილზე ლაპარაკობთ? უმანკოთ ჩამეკითხა ივანე, თითქო არა იცოდა რა.

— აი, იმ წერილებზე, რომლებშიაც შაბიამანის გატან-გამოტან-გყუიღვაზე იყო ლაპარაკი.

— აპააა... მახსოვი, მახსოვს... მერე რა, ბ-ნი აბო, ნუ თუ თქვენი გამჭრიახი გონება ვერ მიხვდა რომ... რომ...

ივანეს ენა დაება და „რომ“, „რომ“-ის თქმის მეტი ვერა მოახერხა რა.

— რა ღმერთი გიწყრება კაცო, რომი კი არა ლიკიორი ძლარ გინდა, უთხარი რაღაცა, უბასუხე... ჩურჩულით შევედრა მოსიკო და ადგილზე აწმაწურდა. რომის გაგონებაზე ივანეს სახე გაუბრწყინდა, თითქო ზღვაში იხრჩობოდა და მაშველ ღუზას წაწყდა.

— თქვენ რომი მიირთვით, ბ-ნი აბო, უმიღლეს მარკისა; ამ ჩემი მეგობარ-ამხანაგის მოსიკოს გასტრონომიულ მაღაზიაში ყოველგვარი სასმელები იშვება: რომი, ლიკიორი, კონიაკი, შამპანიური და სხვა და სხვა, სხაპა-სხუპით მომაყარა ივანემ.

— რაებს როშავ კაცო!.. სად არის ახლა სასმელები, ნუთუ დაგავიწყდა, რომ მაგარ სასმელებით ვაჭრობა აღკრძალულია და ჩემს მიღაზიაში ახლა, ცალიერ ბოთლების გარდა, ვერას ნახავ... .

— ბ-ნი აბო, ისეთ რომს დაგალევინებთ, რომლის მსაგასი თქვენს სიცოცხლეში არ გაგესინ-ჯოთ, განაგრძობდა ივანე.

— გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის, მე სიფხიზლის საზოგადოების წევრი გარ და მაგარ სასმელებს არ გახლები. რომი არ მინდა, მე შაბიამანზე მოგახსენებ.

— შაბიაბანზე?.. ესე იგი... შაბიამანზე... მოსიკო, იქნებ შენს მაღაზიაში დარჩნილი შაბიაბანი?..

— შაბიამანი და შავი ქვა შენს თავს!.. საიდან მექნება ახლა შაბიამანი...

— მოეძიე, გააწყვეტინა ივანემ, იქნებ სადმე იყენეს მივიწყებული, აკი ამას წინეთ ვნახე ბარე შევიდი გირვანქა, „ვიღაცას დარჩნოდაო“, იქნებ კიდევ თარჩი ვინმეს?..

— რა გაჩეუბებთ, ბატონებო, მე შაბიამანის

სასყიდლათ კი არ მოვსულვარ, არამედ მინდა გავიგო მართლა გაყიდა მოსიქომ ამხანაგობის შაბია-
მანი გირვანქა 60 კაპიკათ, თუ წივწივაძე სტუის.

წივწივაძე სწერს, რომ მოსიქომ ამხანაგობის შაბია-
მანი თავის მაღაზიაში მოიტანა და ნაცვლად 25
კაპეკისა გაყიდა გირვანქა 60 კაპიკათ, ამხანაგო-
ბას კი ხუთ-ხუთი შაური მიართვა გარვანქაზეო.

— ივანე, უპასუხე რამე, უთხარი...

— რა არის დაგიჩემებია „ივანე“, „ივანე“,

შენ თვითონ უპასუხე...

მასიქოს სიმწრის თფლი გადაასკდა.

— აკი ვწერდი, ბატონო აბო, ე. ი. პასუხს
ვაძლევედი წივწივაძეს... მხოლოდ 7 გირვანქა გავ-
ყიდე სამ-სამ აბაზათ. ამხანაგობას ამით ზარალი არ
უნახავს, რადგან გირვანქაზე 25 კ. ამხანაგობის კა-
საში შევიტანე; ამის უარს არც წივწივაძე იტყვის.

— სწორეთ, სწორეთ... მართალს ამბობს,
დაემოწმა ივანე.

— აქ თუ კი ვინმემ ნახა ზარალი, ეგ მხო-
ლოდ მყიდველმა გლეხმა, მაგრამ სამდურავს ვერც
იგი იტყვის: სხეაგან გირვანქას მანეთათაც კი ვერ
იშვიოდა.

— ეგ ყოველივე კარგი, მაგრამ გქონდათ კი
ამის უფლება?

— უფლება?.. უფლება...

— უფლების შესახებ რას ეკითხებით, ბ-ნო
აბო, მაგი უნივერსიტეტში არ ყოფილა და არც
არაეითარი უფლების კურსი არ გაუცილია...

— რას მიედ-მოედები?! ამისენით რა უფ-
ლება გაქვთ ამხანაგების ქონებას ისე უცქიროთ,
როგორც თქვენს საკუთარს?

ივანე წმინდა, ერთი ნაბიჯი ჩემსკენ წამოდ-
გა და მრისხანეთ მომახალა:

— თვითონ შენ რა უფლებით გვთხოვ ჩვენი
მოქმედების ანგარიშს?.. შენ ამხანაგების წევრი
არა ხარ, მიბრძანდი.

— მივბრძანდე აქედან?! კეთილი, შეუბლვირე
მეცა და გაიელვა თქვენიმიერ ბოძეულმა აბრეშუ-
მის ძაფით ნაწინავმა მათრახმა.

— ტლაშუშ, ტლაშუშ... გაისმა ჰაერში, ზურგ
ახურებული ივანე ერთი შეხტა და ზე ჩაყვინთა ფუ-
ლის სკივრში.

— ტლაშუშ... კვლავ გაისმა ზეფი-ზედ რამ-
დეჯერმე და მოსიქომაც ლექური ჩამოურა. ერთხელ
კიდევ მოვიმარჯვე მათრახი, მაგრამ ამ დროს მოსი-
კომ ისკუპა და შაბიამანის იქ დარჩენილ ცალიერ
ბოჭეაში გადაეშვა.

თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში
აბი.

გამოცანა

ბატონ ეშმაკს მოვახსენებ
გამოცანას ზესტაფონით
და თუ ახსნა, მათრახის კუდ
მისთავაზებს მთელის ღონიათ.

შავი საქმით ნაქებია...
ჩვენში არ სჯობს კაცი ორი...
(სხვაგანაც ვერ აჯობებდენ
ფეხი თუ კი ქმონდეს სწორი!)

დიდ კაცებში ნამყოფია
ჩინებულიც ქონდა ბინა.
ხუთი, მკვიდრი ბიძაშვილი
ოთხ-ოთხი თვით ჩააჯინა.

სისაძაგლეს რომ მიუხვდენ
ერთი წლით შორს მიიშალა.
ახლა კი „სოციალისტობს“
დაჰკარგა რა ძველი ძალა.

ორ-ორი თვით იცდის ყველგან,
სანამდე არ გაუგებენ...
მერმე მისით თუ არ წავა
ბარ-ნიჩაბსაც აუღებენ.

სანიტარიად ნამყოფია
ტრამვაიში ახლა დადგა...
უიმედო ახსებაა
შეა ტანის და ახალგაზდა.

ამხანაგებს არ დაინდობს,
არც ასრულებს დანაპირებს.
თუ სიფრთხილე დაიგიწყეთ
შენდეთ მრავალს აგატირებს.

იმ დროს, როცა შავ-კაცობდა,
ცეცხლი მისცა მის სახლ-კარსა,
შემთხვევით თუ არ ჩაგვექრო
გვასახლებდა მთელ მის გვარსა.

ნათესაობა არ იცის...
ერთად ერთი სწამს ნათლია
სიბინძურე აქაც შეხვდა...
გალანძღა და გაათრია.

დიდო ეშმაკი, ამა ყმაშვილის
როდესაც ახსნა ნასაქმი მრული,
ჯოჯოხეთისკენ გასამგზავრებელს
შენც მიაყოლე მათრახის კუდი.
ლუწი-კენტი.

დეპეშები.

ფოთი. ქ-ნ აგენტისამ „მხედრული“ შოსაზ-რებით უარპყო სამოქალაქო წესით უბრძოლველი ცხოვრება და მიიღო „სახელმწიფო ვარჯიშობა“. ქ-ს ახალი ნაბიჯი პრაპორჩიკის რჩევით მიუღია და გადაუდგამს კიდეც, რომელთანაც მუდმივათ „ვარ-ჯიშობს“ და ჩინგებულათაც შეუთვისებია თურმე „направо налево“ (მარჯვნით და მარცხნით ბრუნვა) „шагъ передъ шагъ назадъ“ (ნაბიჯი წინ ნაბიჯი უკან) ხოლო სიტყვიერ მეცადინეობაში („словесніє занятіє“) ცოტათი კოჭლობს და საჭირო პირების მაგიერ ბ-ნ აგენტის სახელს ახსენებს ხშირათ...

საბრალო აგენტი დადის ნაცნობებში, დაეძებს „გაქცეულ ბეღნიერებას“ და კითხულობს გულ-დაწყვეტილი: „ჩემი ცოლი არ გინახავთ?“. ნაცნობები თანაგრძნობით ხვდებიან და უპასუხებენ. „თქვენი ცოლი არც ჩვენ გვინახავს და ვერც თქვენ ნახავთ“... ამის გამო ქალაქში შიში ჩამოვარდა და ფიქრობენ ვაი „მოდის“ მიმდევარმა ქალბატონებმა ესეც მოდათ მიიღონ და მიჰამონ ქ-ნ აგენტისასო.

სუფსიდან საკუთარი კორექტოდენტი გვატ-ყობინებს: მოღალატე სასიძოს იმედ გაცრუებულ სარძოოს გათხოვილმა დამა, რომელსაც შეამავ-ლობა გაუწილდა, აღდგომის „ვიზუტებზე“ კაბზა-ნით მიულოცა თავში და თავი აღდგომის კვერხი-ვით წითლათ შეუდებაო.

პატარა ფოთიდან, რაღოც ტელეგრაფით იტ-ყობინებიან „მეპროტესტე“ ინდრო მესხი კორიკა-ნა ქალების წარმომადგენელია და არა იქ მცხოვ-რებ გლეხების, რომელთა სახელით „პროტესტს“ აცხადებს „ეშმ. მათრახის“ ნომერშით“.

ქალაქის აფთიაქის ომი დასრულდა. გენერალ გერჩევესკიმ განდევნა კამენდანტი მხედე და სავ-სებით ჩაიბარა მოელი შტაბი. შტაბის წევრებს უწინდელი ბრძოლის მადა გერჩევესკის სიმპატიაზე შეეცვალათ მხედის წასელის შემდეგ. სააგენტო ფიქრობს მდგომარეობა ქმნის იდეიასო...

ამავე ტშაბმა სტრატეგიული მოსაზრებით პრაპორჩიკ ილიკოსა და გახმეისტერ ბაჩილავის მეთაურობით იერიში მიიტანეს უურნალ-გაზეთების

კიოსკზე და მოინდომეს დამტარებელ ნიკოლაში ლის დატყვევება. ბრძოლამ სამ დღეს გასტამ მტრებმა 17 ფორნტი აიღეს მარა ნიკოლაში მე-18 ფორტზე გამაგრდა და დაამარცხა კიდ ილიკოსა და ბაჩილავის არმია. კიოსკი უცნებრდარჩა.

ბუფუნას სააგენტო.

ქუთაისი. რიონში გაცხარებული თევზაობა საბედნიეროთ წყალიც მღვრიერა. დაკვეთილია თუ ცალი ზუთხი, ორაგული, კალმახი და სხვა თუ ზეულობა, ვინაიდან მაისის პირველი ნახევრიდან იწყება თავად-აზნაურთა კრებები, ბანკის არჩევნები და სხვ. და სხვ. და სხვ.

ქუთაისი. „ცისუერ ყანწების“ შესახებ გრგოლ რობაქიძემ გამართა თავისი ლექცია. „მე არ მანახში მოთავსებულ „პირველ თქმას“ და საზოგადოთ მის პორნოგრაფიულ ნაწილს არ ვეთანხმი ბოდი, მაგრამ უმჯობესად ვსუანი ამის შესახებ ცალკე ლექცია გამომართა, ვიღრე ამის წინააღმდეგ გაზეთის საშვალებით პროტესტი გამომეცხადებია.

მიზანი საესებით მიღწეულია: თეატრი საფიცი.

ფოთი. შანტაჟისტებს განზრახვა აქვთ მეტ მეჯერ გამოაცხადონ. მდიდრების რეკვიზიტია. როგორც გამოირკვა ზოგიერთა შეძლებულები კიდე იმაღლებიან თურმე აქა-იქ.

გელისცის. „მა მისთვისა, შავ-დღისთვისაონ ნათევამია და სწორეთ დღეს ისახელა თავი ჩვენს ვაჭარმა „ეშმაკ-გიორე“ ხალხი პირდაპირ ლოცულობს მასზე, ვინაიდან მარტო ის ჰყიდის წნევად ფუთ შაბიამანს.“

ნაგოლული. (გამანაწ. ლაზარეთი). თანახმად წითელი ჯერის საზოგადოების მთავარ რწმუნებულის ბრძანებისა, ერვანდ ფაშამ იერიში მიიტანა გამანაწილებელ პუნკტში მოსამსახურე „სამოზგან-ცებ“ აფიცერ პოლკოვნიკებზე, რომელთაც ულტომატუმი წარუდგინა იარაღის და პავონების აყრისა წინააღმდეგ შემთხვევაში უაბინეტებიდან გადაყენებით დაგმუქრა. ერთმა კაპიტანმა მოსკოვს მოასწრო გაქცევა, დანარჩენი უბრძოლველად დანებდნენ, მხოლოდ პორუჩიკ რუბენ ბერიმ იერიში მოიგერია და 7—66 მაღლობზე გამაგრდა. სარწმუნო წყაროებიდან იწმენებიან, რომ ამ დღეებში გააფ

ბულ იქრიშებს მიიტანს ერვანდ ფაშა 7--66-ზე, როცა რუბენ ბეის ბეჭს გადასწყვეტს, რითაც აღშფოთებულია სამხედრო პირთა „ლიუ-ლინიცების“ რაზმი—მდგომარეობა სერიოზუ-

იქიდანვე. ზოგიერთი „სათნოების დები“ ღა-
10 ს.—2 საათამდე თაგვების დაჭრით ვარჯი-
ნ, მეტად თავი ისახელა კოლონაშვილმა.

იქიდანვე. საოჯახო ნაწილის გამგე ფონ შაქ-
-დერკუმარ-ლეფერ-იროვს, უმაღლესი სანი-
ული მთავრობის გადაშევეტილება, კვირეში
დღე მარხულობისა, ეცოტავა და დაადგინა—
აში შეიდი დღის მარხვა, რომელ დღეებში,
ტში მოსამსახურეთ (გარდა მცირეოდენი გამო-
ისა) უნდა ეძლიოს მოუხარშავი ბრინჯი, რა-
ზოგიერთი აქაური ექიმები საუკეთესო ნოკიერ
იქრებათ აღიარებენ ადამიანის ჯანთრთელო-
უებს.

ჯიმშერ.

რათ ატირდა გელისციხე?

აქვითინდა ველისციხე,
ცრემლი ჩამოსდის მდუღარე,
დავკარგეთ მამასახლისი
სევდიანი დაწმუნებარე».

დავიღუპენით! გვიშველეთ!
ვინა ხარო ხალხი ლვთიანი!
კარგა ხანია არ ვიკით ნარევი
სადა გვყავს მამა კევიანი.
ამბობენ, ვიღაც უგნურმა
დანოსი დაუწერაო,
მაგრამ ჩენ „შეილებს იმისას“
ეს ცნობა არა გვჯერაო.

იქ წერებულა: „გიორგის
უყვარს ფულების ჭამაო ..
(რას ჩაცივდენ? ხალხის ფულს
ვინ გაუფრთხილდა სხვამაო?!)
ზოგიერთგზე ნაკლებათ
ესეც არ სწიწვნის ხალხსაო,
აგვიკლო, აღარ გვისვნებს
არც კარს და არცა სახლსაო.
ამიტომ მე და ჩემთან კი
ეს მთელი ჩენი სოფელი

გთხოვთ, რომ კვლავ მამასახლისად
არ დაამტკიცოთ ეს მგელი!“

როცა გაიგო „მამილომ“,

რომ მართლა არ ამტკიცებენ

და აღალ-მართალს, საწყალისა

პირიდან ლუქმას სტაცებენ,

მოგვილდა, თავსა უშველა,

დანამწუხრ განამწარია.

ველარ გავიგეთ რა იქნა:

ცოცხალია, თუმკვდარია.

ნეტავ ვინ იყო ის მავნე

დასწამა აღალ კაცს ცილი

და მოაშორა ჩაგრულ ხალხს

„გულწრფელი მამულიშვილი“?

ზეხო.

წერილი მამასთან.

ძეირფასო ბაბა!

პ-დ შოგიკიოხავ სიყვარულით, ღმერთმა ას აღდ-
გომას კიდო დაგასწროს ზდაროვათ და ჯანსაღათ.
მომიკიოხე დედა სიყვარულით, ვაკოცებ ძეირფას
დაია ფატის, ჩემს ძმებს და ყველას.

მე ჯერ ღვთისა და ოქვენი იმედით გვარიანათ
ვარ. ჩემო ბაბა, მივიღე შენი წერილი და ვისმინე
რაც ეწერა, მარა უსამართლოთ მენდური. 25 ბა-
ნეთი თვეში, წელიწადში კი შეადგნს 300 მანეთს,
მარა 70 მანეთი რო მეძლეოდა მიხეილ ხუცისას,
მაშინ მეტი მჩრებოდა. დღეს ყოლისფერს ცეხლი
ეყიდება. ფულს თითქო ნომერი აღარ აქ. იანვრი-
დან 4 მ. 38 კაპ. მომიმატეს, მარა თუ მანამდი
3—4 მანეთი მიხდებოდა შტრაფი, ახლა 8—9 მა-
ნეთით ძლიერ გამოვდიგარ. თებერვალში ყოჩაღათ
გამოვედი. მომიწია სულ 3 მანათი. დანარჩენ ჩემ
ამხანაგებს თითო თუმანი დაუჭირეს. შენ, ბაბაჩე-
მო, გეიკვირებ: ვინ ეშმაკი გაჯარიმებს, რეიზაო?
მიყურე და გეტყვი: აქ ლაზარეთს ათასი უმფროსი
ყავს. ყველაზე უფროსი კი მთავარი ექიმია. იმის
დაშტრაფულს არავთარი მანიფესტი აღარ შველის.
შეუბრუნებ სიტყვას, ჰაიდა სამსახურიდან. ფულს
მაინც გამოურიაცხავენ. სამე მკვტარი თავით რომ
დაინახონ, დაბალი მოსამსახურე უკვე პრიკაზშია
გატარებული და შტრაფი ზრუგზე აქ დაკრული.

დაჯარიმებაში დიდ სიმკაცრეს იჩენენ, მარა

გადახდევინებაში სულგრძელები არიან. პრისტავ-მამასახლისით ყელში არ გეცემიან; გაცლიან, და ჯამაგირის აღების დროს გამოგირიცხავენ. შენ რომ მწერ:—ფულს, რაკი სახლში არ აგზანი, ბანკში უნდა ინახვდე, სალდათობა გიშევსო, განა მე არ ვიცი?!

მიტომაა მუდამ იმის ცთაში ვარ, რამენა-ირათ თავს უშველო. ქეც დუახლოვდი აქურ სმოტრიტლის პომირშის. იგი ათას რალაცას მპირ-დება. აქმდი მოწმობაში „დოორნიკი“ მეწერა, ახლა ღმერთმა უშველოს მას „ასინზეტორი“ ჩამი-წერა. წასვლა რომ მომიხდეს, მოწმობის ძალით იქიც „ასინტატორი“ ვიქნები. ხუთი თუმანი მას მივაბარე. მოსამსახურებს თითონ ის ართმევს ფულს, შეგინახვთო. ბევრმა მოსოხოვა უკან, მაგ-რამ არ მისცა: —თქვენ ალბათ საეშმაკოთ გენდო-მილებათ, სახლში წასვლისას მოგცემთო. როგორც ამბობენ, თვითონ „დეზინფექტორთა კლუბში“ ინა-ხასო.

სხვა, ჩემო საყვარელო ბაბა, მინდა სააღდო-მოთ ჩემი ჩამოქსლით გაგახაროთ, მარა სადათ აღარ ჩამუალ... ნასტაიაჩი აფიცერი ვიქნები. მტრებს უნდა დოუყენო თვალები... ჩინებით და კაკარტით ჩარიჩინებული ვიქნები. აქური მოსამსახურები სახლში რომ წავლენ ყველა აფიცერების ჩინით და თოხაძის ლეკურით მიდის. ისთე „სლუბბაში“ პა-ტაიანი ჩინის მატარებელი ევაკუცინის ბიროს კა-ცებია... უწინ ესენი სადა ბლუზით იარებოდენ, მარა დარა დაიწყეს წითელი ჯვრით დღეს პრაპორ-ჩიკებია; სულ დეზებით და პაგონ-ლეკურ-კაკარტით ჩახლართულებია. მართალია, რევიზის მოვსლის დროს, მაღავენ, მარა აგი მორცხვილით მოსდით. მალე იგენი პონკოლნიკები გახდებიან... იმიზა რომ აგი „პროიზვოლსტვა“ სხვაზე არაა დამოკიდებული, თავიანთ სურვილზეა, რაც უნდა იმას დეიკერებენ.

ლეკურის ფასმა ნამეტარი ეიწია. არზუმში და პერსიაში ვინც გაგზავნეს დეზინფექტორები, ყველაყაი ლეკურით შეიარადებული იყო. თურმე ბაცილები ისთე გაზდილან, რომ სულეიმა და ფორ-მალინი ვეფურს აკლებს და ლეკურით უნდა მოჰ-კინტრო თავი. ამიტომ დიდი გაჭივრებაა ლეკურის შოვნა. ბიროს ჩნელებაც გასაჭირი ადგია ამ შერივ. სომეხთა კლუბში მომხდარ ჩხუბში, მათი რამდენი-მე ლეკური დასახიჩრდა. დღეს მარტო ეკონომ თ-ძის ლეკურია ხმარებაში. მას მორიგეობით აჭა-რებენ. ვაცხონე იმის გამჭელის მამა, ყველა ყალი-ბრის კაცს რგებს.

ჩემო ბაბა, შენ დაფაცურდი, ჩვენი ქუხნის სხვენში რაც რომ ბაბუას ლეკურებია ჩამოყარე და გამომიგზანე. ერთს ჩემთვის გავაკეთებიებ და დანარჩენს, ასიც იყოს, გავყიდა. ოქროსავით დაი-ტაცებენ, ოლონდ სახე ქონდეს ლეკურის, გარდა ამისა, თუ არ შეგეხარება, მიხელ ხუცისას შეიარე და დეზები გამოართვი. მას 15-მდი დეზი უყრია, ხომ გახსოვს ოჩანი ჯორი ყავდა. არ შევაწუხებდი აქ რომ იშოვნებოდეს. მაგიერში ჩამოუტან ჩარექ სპირტის არაც, ისეთს რომ ეშმიყმაც ვერ დალიოს. ლეთის მაღლით, იმიზა ფულს არ ვიხდი.—შენთვი-საც მაქ, ბაბა, სალდატსკი საპოვი და შინელი. ყველას ჩამოგიტანთ ცოტ-ტოტას. ვიცი ბაბა, გა-გიხარდება ჩემი კაი ანბავი და თუ გინდა აფიცრით მევიდე ლეკური და დეზები გამომიგზავნე. აღრესს ყოლოვის გადასხვაფერებულს მიგზავნით, რა უბე-დურობაა რომ ვერ დაიმასხონეთ: ტიფლისი, რას-პრედელიტელნი პუნკტი, ასინტეტორუ და მე.

შენი ერთგული შვილი კ. ჩახუშვილი.

საეშმაკო განცხადებები:

ქართულ ეროვნულ-ბურუუზის გასაძლიერებ-ლათ ვყიდულობთ ყველგვარ მიზარულებისა, და სქესისა და წლოვანობის მოღვაწეებს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ტოშისას.

ფასები შემდეგია:

- 1) პოტი—ცალი 3 თუმანი თვიურ; წყვილი 5 თუმანი*).
- 2) პულიცისტი (კასრაძის ყაიდისა) 2 თუმანი, ჩყეულებრივი 15 მანეთი.
- 3) პედაგოგი 25 მანეთი.
- 4) საეკლესიო მწერალი 7ნ მანეთი.
- 5) ისტორიკოსი წყვილი 6ნ მანეთი.
- 6) ბელეტრისტი წყვილი 15 მანეთი.
- 7) დრამატურგი პირადი შეთანხმების მიხედ-ვით.
- 8) კრიტიკოსი წყვილი 7 მანეთი.


*) შეფასების დროს მნიშვნელობა გასაყიდო საქონლის პროიულ რომელბაც აქვს. ს. დ. ფასი მეტია, ვიდრე ს. ფზე.

9) ომის მიმომხილველი, ცალი 65 კაპ. წყვილი 1 მანეთი.

10) კორესპონდენტები არა გვჭირია, ვინაიდან სხვა გაზეთებიდანაც იოლათ გამოვდიგართ.

მსურველნი უნდა გმოცხადდენ მოსკოვის ქუჩაზე „საქართველოს“ რედაქციაში.

საწარმოვო თანხა ჯერ-ჯერობით 100000 თანხის უდრის.



გვისაც გადაწყვეტილი აქცეს აქ ჰაფუტული
ფლოთის ქასალობელ აღმოჩენის დათვალიუ-
რება, კონიდ ინიციონ ას ქიმიკოთთ ქანკ-

ქინგისის გადაწყვეტილი ბიუროს.

პროცესის შერით საშეუადაპიროა.

მიმინდინად შესაცმლებლივ შელილქარები განცალკევება
ეროვნულების.

ქუთაისი მომავალი არჩევებისათვის გენერალობთ ქლიერ ხელსაყრელ ფასიგმი „ეპვრაზ სულებას“

რომელიც კი ოდესმე ყოფილან ამა თუ იმ საზო გადოების წევრათ.

განსაკუთრებით საჭიროა „დრამატიული საზოგადოების“ წევრყოფილნი.

საწარმოვოდ გადადებულია კარგა მოზრდილი თანხა (100,000 კაპ.)

პატივისცემით: აქციონერები კიბა აგაშიძი
ალ. კრისტენი

ყოველთვის ხელმისაწვდომ ფასებში ვყიდი:

კალგ ცნოგებს სამურადის პორპე- რატივის უსახებ.

საჭირო სახლი:

სტურცვანია K° მიმართეთ დაბა სამტრედიაში.

ექიმი ბარხუდაროვის ხელმძღვანელობით ვყიდულობთ

დამპეალსა და აუროლებულ თეგზს.

ფასები ჩინებულია, ისარგებლეთ შემთხვევით. ვაჭ-
რობა გაგრძელდება ომის გათავებამდე.

თფილისი. განმანაწ. ლაზარეთი.

• აზეამა • ა ერმივები ერიმაზუ

• გე ემ (იგნიორამიგ) ან ც-
ნიბე ცხამასე (ესმაქამაპნ) ცხრამამა. უზ (ისგ
აბავ) დამასაჩერებ ეტავებ (ისიდერამისამაგ) ცხად
-ცნიამი კანონამდებრ იგნიორამიგ აგომოდევთ

• რეზოდეზედე-აქსიჭი ასახელ

დენამნია

-ცნ, ცენტამაცნიან აიმტაზებ იგნიორამ
-ცნ-ცლ ეფებ ისმილამ ცხრამამა ამისმამა

„რდაცნი“

რდაზებ ანიტერაცნია დან-პარონ ენი

„ერიაული თეთავის“



-କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା



ନାଥଦାସ

ପାଣ୍ଡିତ୍ୟ

ଏହି ଧରମାଲିଙ୍ଗ ପ୍ରେଲିଂ ସିଲିଙ୍ଗ ଓ ଲାଲାଙ୍ଗ,
ଯିନି କୁ କାଲ୍‌ପିଲ୍‌ଶି ମହିନିବାର୍ଷିକ ମହାରାଜା.